პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
30 მაისი
№ 124 (17767)
ფასი 2 კაპ.

„გოლიათი“ მოქმედებს

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანების „ეკიბასტუზქვანახშირის“ „გოლიათის“ ჭრილის მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლუატაციის მუშაკებს, პარტიულ, პროფკავშირულ — და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღიქვა ცნობა იმის შესახებ, რომ წარმატებით დამთავრდა წელიწადში 50 მილიონი ტონა ქვანახშირის სიმძლავრის, მსოფლიოში უდიდესი ჭრილის „გოლიათის“ — ეკიბასტუზის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობა.

ქვანახშირის გიგანტის საექსპლოატაციოდ გადაცემა საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად დვკაკმაყოფილოთ სათბობსა და ენერგიაზე უკანასკნელის, შუა აზიის, ურალისა და დასავლეთ ციმბირის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჭრილის აგების პროცესში მიმდინარეობდა მწყობრში ჩაყენებულ სიმძლავრეთა წარმატებით ათვისება. ქვეყნის ელექტროსადგურებმა უკვე მიიღეს 200 მილიონ ტონაზე მეტი იაფი ქვანახშირი, რამაც მთლიანად აანაზღაურა ჭრილის მშენებლობისათვის გაწეული ხარჯები.

ღირსშესანიშნავია, რომ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივის თავდადებული შრომა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მიზნად ისახავდა არა მარტო სამრეწველო ობიექტების აგებას, არამედ იმას, რომ მშრომელებს შექმნოდათ მაღალნაყოფიერი შრომის ყველა პირობა. უკანასკნელ ადგილზე აშენდა მეშახტეთა და ენერგეტიკოსთა თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქი, რომლის მოსახლეობა 70 ათასს აღემატება.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ თქვენ კვლავაც დამკვრელურად იშრომებთ და გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოფთ ეკიბასტუზის აუზში წელიწადში 150 მილიონ ტონამდე ქვანახშირის მოპოვების გადიდებას.

ეჭვი არ არის, რომ თქვენი კოლექტივების მიერ შექმნილ დიდმასშტაბიანი მშენებლობის გამოცდილებას გამოიყენებენ კანსკ-აჩინსკისა და სამხრეთ იაკუტიის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების აგებაზე, აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის სხვა მშენებლობებზე.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ახალ შრომითს გამარჯვებებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.



ᲙᲣᲗᲘᲡᲬᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲚᲘ 1980

ᲙᲣᲗᲘᲡ ᲬᲚᲔᲚᲘ — ᲕᲐᲓᲐᲐᲛᲓᲔ!

ᲙᲣᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადაზე ადრე, 29 მაისს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-მაისის გეგმა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადაზე ადრე, 29 მაისს უპატაკეს სამშობლოს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ხუთი თვის გეგმის შესრულება.

საქართველო-დამკვრელურ ვასტზე

თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ მოპირკეთების საამქროში ჩამოყალიბდა ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა (ხელმძღვანელი ა. ღურჭუმელია), რომელიც დაწინაურდა სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სურათებზე: ამწყობი საამქრო; მოწინავე მომპირკეთებელი ვ. თედეშვილი; ა. ღურჭუმელია (მარცხნივ) თავისი ბრიგადის წევრებთან.

თავდადებული შრომით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

კოლექტიური მეგობლობის შემდგომი განვითარების მიზნით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მეგობლიანი ოჯახების, ოჯახური ბიზნესის, ოჯახური ბაღის, ოჯახური ბაღის სახლების, დამხმარე სათავსოებისა და კოლექტიურ მეგობლობაში საერთო საოჯახო-საოჯახო ნაგებობათა მშენებლობის წესის შესახებ.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მუშათა დეპუტატთა სამინისტროები და უწყებანი, საქართველოს სსრ მეგობლობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭო ეფუძნებიან კოლექტიური მეგობლობის განვითარებასთან, ამ მიზნით რესპუბლიკაში გამოყოფილია 7,4 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, შექმნილია 300 მეგობლობის ამხანაგობა, ზოგიერთი მათგანი უკვე შეუდგა მიწის ნაკვეთების ათვისებას.

ბაღრამ მეგობლობის ამხანაგობათა ორგანიზაციაში არსებობს ფერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც დაკავშირებულია მათი ეფექტურობის კონტროლირების განსაზღვრასთან, მიწის ნაკვეთების გაანწილებასა და ათვისებასთან, საოჯახო ბაღის სახლების, დამხმარე სათავსებისა და საერთო ფარგებლობის ნაგებობების მშენებლობასთან, ჯერ კიდევ არ ფუძდაფუძვრილა ნაკლოვანებანი ბაღრი შექმნილი მეგობლობის ამხანაგობათა საქმიანობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ საზოგადოებრივ ბაღის სახლების, დამხმარე სათავსების, აგრეთვე საერთო სარგებლობის ნაგებობების მშენებლობა ხორციელდება დამტკიცებული ტიპობრივი პროექტებით, აგრეთვე სტანდარტული ფარის ერთ ან ოროთახიანი სახლების გამოყენებით.

ბაღის სახლების, დამხმარე სათავსებისა და ნაგებობების მშენებლობა შეიძლება დაიწყოს კოლექტიური ბაღის ტერიტორიის მოწყობის პროექტის დადგენილი წესით დამტკიცებისა და საქართველოს სსრ მეგობლობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მიერ მისი რეგისტრაციის შემდეგ. კოლექტიური მეგობლობისათვის გამოყოფილი მთელი მიწის მესაკუთრეობისათვის მუშავდება ერთიანი პროექტი.

მეგობლობის ამხანაგობებისათვის გამოყოფილი ნაკვეთების რთული რელიეფის შემთხვევაში ნებადართულია ბაღის სახლის პროექტების შედგენის შემდეგ. „საქმთავარწყალმშენსა“ და „საქსახსოფლტექნიკას“ ნება ეძლევათ მეგობლობის ამხანაგობებს დაეხმარონ სარწყავი სისტემების, კოლექტიურ ბაღებში მოხერეშილი მისასვლელი გზების მშენებლობაში, კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა შესრულებაში მეგობლობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან დადებული პირდაპირი ხელშეკრულებებით.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს დავალა შეასრულოს საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები კოლექტიური ბაღების ტერიტორიის გარეგანი ელექტრომომარაგებისათვის, ხოლო საქართველოს სსრ გეოლოგიის სამართველოს — აწარმოოს არტეზიული ჭაბურღილების ბურღვა, კოლექტიური ბაღების ტერიტორიის წყალმომარაგებისათვის. საქართველოს სსრ მეგობლობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან დადებული პირდაპირი ხელშეკრულებებით.

სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულება-ორგანიზაციების ხელშეკრულებს წინადადება მიეცათ დაეხმარონ მეგობლობის ამხანაგობებს შენობებისა და ნაგებობების მშენებლობაში, ტერიტორიის კეთილმოწყობაში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებითა და მექანიზმებით მუშა-მოსამსახურეთა მეგობლობის ამხანაგობების გამგეობათან საბელშეკრულებო ანაზღაურების საფუძველზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა მეგობლობის ამხანაგობებს დეხმაროს კოლექტიურ ბაღებში მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვაში მეგობლობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს განაცხადების თანახმად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტმა ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მომდევნო წლების გეგმების პროექტებში უნდა გაითვალისწინოს, რომ მეგობლობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს გამოეყოს საშენი მასალები რესპუბლიკის საბაზრო ფონდის დაახლოებით 25 პროცენტის ოდენობით, აგრეთვე სახაფხულო ფარის სახლები მეგობლობის ამხანაგობათა გამგეობების მიერ მათი განაწილებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალეს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს აღმასკომებს მაქსიმალურად შეუწყონ ხელი რესპუბლიკაში კოლექტიური მეგობლობის განვითარებას, ხიბოსტნეულის წარმოების ზრდას. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ: ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲬᲚᲔᲣᲚᲘ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე დადგენილ, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გ. კოლბინის თავმჯდომარეობით გაიმართა ამ კომისიის სხდომა, რომელზეც გაანხილეს რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით მეორე კვარტალისა და ნახევარწლეულის წარმატებით დამთავრების ღონისძიებანი, აგრეთვე მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით წარმოებს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, სამინისტროებსა და უწყებებში. ინფორმაციები გააკეთეს რესპუბლიკური კომისიის წევრებმა: ზ. ჩხეიძემ, ნ. ჭითანავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ქართველიშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგემ ნ. სანთელაძემ, შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ჯაფარიძემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსმა რ. ბასარიამ, კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ზ. დვალმა, აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ო. ვარძელაშვილმა და ი. ქედიშვილმა, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ფ. ანანიაშვილმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა გ. კოლბინმა.

აღინიშნა, რომ გეგმები საქართველოს სსრ, აგრეთვე ქალაქების, რაიონების, სახალხო მეურნეობის დარგების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მთლიანად წარმატებით სრულდება, ამას ბევრად უწყობს ხელს ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც ეწევიან პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადგილობრივი სამეურნეო ხელმძღვანელები, მაგრამ, როგორც სხდომაზე აღინიშნა, უნდა გაიქცეს ადგილებზე მუშაობა მაღალი სოციალისტური ვალდებულებების უფუო შესრულებისათვის ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიც არის სამრეწველო წარმოების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, ფოლადის, ნაგლინის, შავი ლითონების, ფოლადის მილების, მინერალური სასუქების, წნიდის, ყურძნის ღვინის, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის წარმოება. უნდა დაჩქარდეს რუსთავის ქიმიური ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ყურძნის პირველადი გადამუშავების სიმძლავრეთა ამოქმედება და ა. შ. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის მკვეთრ დაჩქარებას, აგრეთვე დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მოგების გეგმის შესრულებისათვის.

რესპუბლიკურმა კომისიამ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირთა, აგრეთვე ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევა, რომლებიც ხელს შეუწყობს მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას. (საქინფორმი).

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ!

ᲛᲔᲖᲕᲠᲔᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲘ

საბჭოთა მრავალეროვნული ხელოვნების დღესასწაული, ხალხთან მხატვრების განუყოფელი კავშირის დადასტურება იყო საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები საქართველოში. დღეები დამთავრდა 29 მაისს სსრ კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმით, რომელიც მიეძღვნა თემას: „მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების კომუნისტური იდეურობა და ინტერნაციონალიზმი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც შემოქმედებითი ფორუმი გაიმართა, თავი მოიყარეს ყველა მოძმე რესპუბლიკის მხატვართა კავშირების წარმომადგენლებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა.

ლოჟაში ადგილს იკავებენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ს. გ. გოლუაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ე. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ო. ტ. ივანოვი, ქვეყნის თვალსაჩინო მხატვრები — საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილენი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

პლენუმი გახსნა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ა. პონომარიოვმა. იგი გულთბილად მიესალმა საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებსაც წელს მიენიჭათ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდებანი.

ნ. ა. პონომარიოვმა გულთბილად მიულოცა საპატიო ჯილდო — ლენინური პრემიის მინიჭება საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს — ქართველ მწერალს ნ. ვ. დუმბაძეს.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

მოხსენება გააკეთა ნ. ა. პონომარიოვმა.

მოხსენების ფამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: რსფსრ დამსახურებული მხატვარი, რსფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ა. ი. სტეპანოვი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. შ. ჯანბერიძე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი დ. ა. ნალბანდიანი, რსფსრ დამსახურებული მხატვარი დ. ს. ბისტი, უკრაინის სსრ სახალხო მხატვარი, უკრაინის მხატვართა კავშირის ლვოვის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ე. პ. მისკო, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ტ. ტ. სალახოვი, ლატვიის სსრ სახალხო მხატვარი, ლატვიის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დ. ო. სკულმე, ყაზახეთის სსრ სახალხო მხატვარი, ყაზახეთის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ა. ბამბეევი, ჟურნალ „ტვორჩესტვოს“ პასუხისმგებელი რედაქტორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ე. ა. ზინგერი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური პრემიის ლაურეატი ა. პ. კიბალნიკოვი, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული მხატვარი ვ. ი. ნარიმანბეკოვი, რსფსრ დამსახურებული მხატვარი ნ. ი. აბდრონოვი, სომხეთის სსრ სახალხო მხატვარი, სომხეთის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ს. საფარიანი, რსფსრ სახალხო მხატვარი, რსფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ა. ნ. ოსიპოვი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ბ. ე. ეფიმოვი, ლიტვის სსრ სახალხო მხატვარი, ლიტვის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე კ. ა. ბოგდანასი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ხ. ა. იაკუპოვი, თერჯოლის რაიონში მომუშავე მხატვართა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელი მ. ა. ბერწუტეანი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. პონომარიოვმა.

პლენუმმა მიიღო დადგენილება. (საქინფორმი).

მოსკოვიდან გაემგზავრა

29 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო.

აეროდრომზე ა. ნ. მუჰამედი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

სურათზე. აეროდრომზე გაცილების დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

საბჭოთა მთავრობის მოწვეით 29 მაისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრი უ. ალტენი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

29 მაისს თბილისის მხატვართა სახლში ქვეყნის 15-ვე მოძმე რესპუბლიკის ფუნჯისა და სატრეფლის ოსტატთა ნაწარმოებების საკავშირო სამხატვრო გამოფენას ეწვივნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ო. ტ. ივანოვი.

მაღალი მოქალაქეობრივობით, პარტიული პრინციპულობით, ოპტიმიზმითა და ასახულისადმი შემოქმედებითი მიდგომით გამოირჩევა საბჭოთა სახვითი ხელოვნების 250 ოსტატის 400-ზე მეტი ნამუშევარი.

სამი დღის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა ათასობით თბილისელმა და რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმარმა.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ნ. ა. პონომარიოვმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჩუქრად გადასცა ცნობილი საბჭოთა მოქანდაკის ნ. ვ. ტომსკის მიერ შესრულებული ვ. ი. ლენინის ბიუსტი. (საქინფორმი).

„ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘᲗ“ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანების „ეკიბასტუზქვანახშირის“ „გოლიათის“ ჭრილის მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლუატაციის მუშაკებს, პარტიულ, პროფკავშირულ — და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღიქვა ცნობა იმის შესახებ, რომ წარმატებით დამთავრდა წელიწადში 50 მილიონი ტონა ქვანახშირის სიმძლავრის, მსოფლიოში უდიდესი ჭრილის „გოლიათის“ — ეკიბასტუზის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობა.

ქვანახშირის გიგანტის საექსპლოატაციოდ გადაცემა საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად დვკაკმაყოფილოთ სათბობსა და ენერგიაზე უკანასკნელის, შუა აზიის, ურალისა და დასავლეთ ციმბირის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჭრილის აგების პროცესში მიმდინარეობდა მწყობრში ჩაყენებულ სიმძლავრეთა წარმატებით ათვისება. ქვეყნის ელექტროსადგურებმა უკვე მიიღეს 200 მილიონ ტონაზე მეტი იაფი ქვანახშირი, რამაც მთლიანად აანაზღაურა ჭრილის მშენებლობისათვის გაწეული ხარჯები.

ღირსშესანიშნავია, რომ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივის თავდადებული შრომა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მიზნად ისახავდა არა მარტო სამრეწველო ობიექტების აგებას, არამედ იმას, რომ მშრომელებს შექმნოდათ მაღალნაყოფიერი შრომის ყველა პირობა. უკანასკნელ ადგილზე აშენდა მეშახტეთა და ენერგეტიკოსთა თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქი, რომლის მოსახლეობა 70 ათასს აღემატება.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ თქვენ კვლავაც დამკვრელურად იშრომებთ და გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოფთ ეკიბასტუზის აუზში წელიწადში 150 მილიონ ტონამდე ქვანახშირის მოპოვების გადიდებას.

ეჭვი არ არის, რომ თქვენი კოლექტივების მიერ შექმნილ დიდმასშტაბიანი მშენებლობის გამოცდილებას გამოიყენებენ კანსკ-აჩინსკისა და სამხრეთ იაკუტიის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების აგებაზე, აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის სხვა მშენებლობებზე.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ახალ შრომითს გამარჯვებებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 28 მაისი (საკდესი). ლეონიდ პოპოვი, ვალერი რიუმინი, ვალერი კუბასოვი და ბერტალან ფარკაში განაგრძობენ სამუშაოთა დაგეგმილი პროგრამის შესრულებას „სალუტ-6“ — „სოიუზ-35“ — „სოიუზ-36“ ორბიტულ კომპლექსში.

ორი ეკიპაჟის შეხვედრის შემდეგ კოსმონავტებმა სადგურში გადაიტანეს მიტანილი სამეცნიერო მოწყობილობა, ფოსტა, მოაწყვეს „სოიუზ-36“ ხომალდის კონსერვაცია.

სტუმარ-ექსპედიციის ეკიპაჟი შეუდგა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივი ექსპერიმენტის განხორციელებას, რომლის მიზანია შეისწავლონ, თუ რა გავლენას ახდენს ჯოსმოსური ფრენის ფაქტორები ადამიანის უჯრედებში ინტერფერონის — იმ ცილის წარმოქმნაზე, რომელიც დაკავშირებულია ვირუსული დაავადებისაგან ორგანიზმის ბუნებრივ დაცვასთან. გარდა ამისა, ექსპერიმენტი შესაძლებლობას მოგვცემს გავარკვიოთ, ახდენს თუ არა კოსმოსური ფრენის პირობები გავლენას წამლის სახით დამზადებულ ინტერფერონის პრეპარატზე.

„სოიუზ-36“ ხომალდზე მიტანილი აპარატურის მეშვეობით კოსმონავტებმა კუბასოვმა და ფარკაშმა დაიწყეს საბჭოთა და უნგრელი სპეციალისტების მიერ მომზადებული ექსპერიმენტი — ორბიტული კომპლექსის ნაკვეთურებში კოსმოსური გამოსხივების დოზების განაწილების გაზომვა.

სამუშაო დღის შინაგანაწესით გათვალისწინებულია აგრეთვე კომპლექსის ნაკვეთურებში აირის გარემოს შედგენილობის შესწავლის ექსპერიმენტი, ფიზიკური ვარჯიში, ტელერეპორტაჟი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, „სალუტ-6“ — „სოიუზ-35“ — „სოიუზ-36“ კოსმოსური კომპლექსის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგები პოპოვი, რიუმინი, კუბასოვი და ფარკაში თავს კარგად გრძნობენ.

საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

საბჭოთა მრავალეროვნული ხელოვნების დღესასწაული, ხალხთან მხატვრების განუყოფელი კავშირის დადასტურება იყო საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები საქართველოში. დღეები დამთავრდა 29 მაისს სსრ კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმით, რომელიც მიეძღვნა თემას: „მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების კომუნისტური იდეურობა და ინტერნაციონალიზმი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც შემოქმედებითი ფორუმი გაიმართა, თავი მოიყარეს ყველა მოძმე რესპუბლიკის მხატვართა კავშირების წარმომადგენლებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა.

ლოჟაში ადგილს იკავებენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ს. გ. გოლუაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ე. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ო. ტ. ივანოვი, ქვეყნის თვალსაჩინო მხატვრები — საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილენი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

პლენუმი გახსნა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ა. პონომარიოვმა. იგი გულთბილად მიესალმა საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებსაც წელს მიენიჭათ

ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ № 159

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწყობილმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სამინისტროების, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, და დაწესებულებათა მიერ გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად სამსახურებრივი მივლინებების მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებაში ჯერ კიდევ ვხედებით სერიოზულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს.

ზოგიერთმა საწარმომ, ორგანიზაციამ და დაწესებულებამ შარშან სამსახურებრივი მივლინებებისათვის განკუთვნილი სახსრების ლიმიტს გადააჭარბა, ხოლო ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ბუღალტრული სამსახური ვერ ახორციელებდა სათანადო კონტროლს.

შემოწმებული სამინისტროებიდან და უწყებებიდან ექვსში — 77 საწარმომ და ორგანიზაციამ სამსახურებრივ მივლინებებზე დაწესებული ლიმიტის გადამეტებით დახარჯა 45,3 ათასი მანეთი. სამივლინებო სახსრების გადახარჯვა მოხდა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს 34 საწარმოსა და ორგანიზაციაში (სამინისტროს მთავარი ბუღალტერი ვ. ლომიძე) — 21,7 ათასი მანეთი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის 30 საწარმოსა და ორგანიზაციაში (ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი — რ. გრიგოლია) — 12,24 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტის 7 საწარმოში (მთავარი ბუღალტერი ვ. ჩიჩუა) 2,4 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ სახმეწინში (მთავარი ბუღალტერი — ს. გედევანიშვილი) — 2 ათასი მანეთი და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 სახლთსაშენებელ კომბინატში (ყოფილი უფროსი — გ. ხღმერიკი, მთავარი ბუღალტერი — ლ. ჯობავა), — 2,5 ათასი მანეთი.

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში დარღვეულია შრომის კანონთა კოდექსი: სამმართველო აპარატის მუშაკთა მივლინების დრეს არ გაიცემა ავანსები და მუშაკები იძულებული არიან დახარჯონ საკუთარი ფული, ზოგიერთი მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ან საერთოდ არ ადგენს მოხსენებითს ბარათს, ან კონკრეტულად არ აღნიშნავს მივლინების მიზანსა და შესრულებულ სამუშაოს. ეს დარღვევები სხვა მიზეზებთან ერთად იმის შედეგია, რომ შემოწმებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელობა გადამჭრელ ღონისძიებებს არ ახორციელებს დარღვევათა აღსაკვეთად და მკაცრ პასუხს არ სთხოვს დაქვემდებარებულ საწარმოთა ხელმძღვანელებს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მთავარი ბუღალტერს ვ. ლომიძეს და საქსახსოფლტექნიკის ბუღალტრულ აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსს რ. გრიგოლიას გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტის მთავარ ბუღალტერს ვ. ჩიჩუას და საქართველოს სსრ სახმეწინის მთავარ ბუღალტერს ს. გედევანიშვილს — საყვედური.

სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 სახლთსაშენებელი კომბინატის მთავარ ბუღალტერს ლ. ჯობავას დაერიცხა ერთი თვის თანამდებობრივი განაკვეთი — 190 მანეთი.

ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲛᲬᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲐᲛᲣᲠᲕᲜᲔᲡ... ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ მნიშვნელოვანი ღონისძიება ხორციელდება რესპუბლიკაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, მომსახურების კულტურის ამაღლებისა და ვაჭრობის წესების სრულყოფისათვის. ამ მხრივ გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ქუთაისში. ბოლო წლების მანძილზე აქ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამაღლდა მომსახურების დონე, შემცირდა ვაჭრობის წესების დარღვევის რიცხვი.

დადებითს ძვრებზე რომ ვლაპარაკობთ, როდი ნიშნავს, თითქოს საქმე ყველგან სასურველ დონეზე იყოს. ეს გამოვლინდა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ამას წინათ გამართულ პლენუმზეც და ამ პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმების დროსაც. მსსობრივმა რეიდმა, სამწუხაროდ, სერიოზული დარღვევები გამოავლინა, მათ შორის მომხმარებელთა მოტყუების, საქონლის გადამალვის, ფასების გამოუცხადებლობის, სალარო-საკონტროლო აპარატის გვერდს ავლით ვაჭრობისა და სხვა უხეშ დამახინჯებათა ფაქტები.

უწყებრივი კონტროლის მოდუნების შედეგად 24 შემოწმებული ობიექტიდან 19-ში თვალსაჩინო დარღვევები აღმოჩნდა, უპირველესად ეს ეხებოდა ფასდამახინჯებებსა და საქონლის გადამალვას.

რას უნდა მივაწეროთ ყოველივე ეს? როგორც რეიდის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, აქ კვლავ ობიექტების ზოგიერთი ხელმძღვანელის მოუქნელ და დანაშაულებრივ მოქმედებამდე მივყავართ, უნივერმაღ „ქუთაისის“ (დირექტორი — შ. შარაშენიძე) შეკერილი ტანსაცმლის სექციაში (სექციის გამგე — ნ. გვენეტაძე) გასაყიდად არ გამოუტანიათ (სათავსში ინახავდნენ) 17.545 მანეთის ღირებული სხვადასხვა შეკერილი იმპორტული საქონელი. მსგავსი მდგომარეობა აღმოჩნდა მეათე გაერთიანების № 42 სამრეწველო მაღაზიაში (გამგე — ა. მარტიროსიანი), სადაც გასაყიდად არ გამოუტანიათ 9 დასახელების სამამული და იმპორტული მუსიკალური ინსტრუმენტები. 6.768 მანეთის გადამალული საქონელი აღმოჩნდა თვითმმართველობის უნივერსალურ მაღაზიაში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი — ზ. ჯავახია). აქ რეიდის მონაწილეებმა სამეურნეო-სათოჯახო სექციის სათავსში აღმოაჩინეს ფართო მოთხოვნილების ღვინისა და ჩაის 3.288 ბოლოს ჭიქა, ავტომანქანა „ჟიგულის“ მუხრუჭის სიფხე, 850 სარეცხი ფხვნილი „კავზი“ და 1840 ტუბი მასტიკა.

რატომ არ იყო გამოტანილი ეს საქონელი გასაყიდად?

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ არსებითს გარეგანისაც — თვითმმსახურების უნივერსალური მაღაზიისა და უნივერმაღის ხელმძღვანელებმა, როგორც კი გაიგეს, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ საქონლის გადამალვის საკითხი რეგიონებისათვის ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტს გადასცა, მაშინვე დაფაცურდნენ და „ზომები მიიღეს“. ამით მათ დამნაშავეებს ხელი შეუწყვეს თავიდან აეცილებინათ მკაცრი სასჯელი, თანაც საშუალება მისცეს კვლავ ყოფილიყვნენ აღნიშნულ ობიექტებში პასუხსაგებ სამუშაოებზე.

ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა სასურსათო და სამრეწველო მაღაზიებში, სასადილოებსა და სახინკლეებში, გაერთიანებაში მომხდარ ვაჭრობის წესების დარღვევებზე, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს მომხმარებელს, სახელმწიფოს. ვაჭრობის წესების დარღვევები იმის ბრალიც არის, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საქალაქო სამმართველოს შესაბამისი დარგების ხელმძღვანელები, სამმართველოს უფროსის მოადგილეები (გ. მამალაძე, ბ. გეგეშიძე, ბ. ჭეიშვილი) და საორგანიზაციო განყოფილება (უფროსი — ა. ტყაბლაძე) ვერ ეწევიან უკომპრომისო ბრძოლას ქსელში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

კადრების დარგში სამმართველოს უფროსის მოადგილის ა. სამხარაძის და მთავარი ბუღალტრის ვ. ქუთათელაძის უყურადღებობით № 53 მაღაზიაში დარღვეულია გამგის თანამდებობის დაკავების დადგენილი წესი. აქ 1978 წლის მიწურულს „მრეწვავაჭრობის“ მამინდელმა ხელმძღვანელობამ ახალ გამგედ ვ. გულბანი ისე დანიშნა, რომ ძველი გამგე გ. კოღუაშვილი არ გაუთავისუფლებია. ფაქტობრივად ამ მაღაზიაში 2 გამგე ირიცხება. ვ. გულბანი, რომელიც ნამდვილად ასრულებს გამგის მოვალეობას, ხელფასის სრულ გაუნაკვეთს იღებს, ხოლო გ. კოღუაშვილმა, რომელიც არ მუშაობს, უკანონოდ მიიღო 411 მანეთი.

ნაკლოვანებებია იმპორტული საქონლის განაწილების, ბაზებსა და სარეფაზებში საქონლის შენახვის, სავაჭრო ობიექტების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეში.

რეიდებისა და შემოწმებათა მასალებზე იმსჯელა სახალხო კონტროლის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა, რომელმაც ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა სათანადო ღონისძიებანი. კომიტეტმა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსის ქ. უკლობას ყურადღება გაამახვილა ქსელში არსებულ სერიოზულ დარღვევებზე და დაავალა საჭირო ღონისძიების განხორციელება, ხოლო უფროსის მოადგილეებს გ. მამალაძესა და ბ. ჭეიშვილს საყვედური გამოუცხადა. № 53 მაღაზიის აყოფილი გამგის გ. კოღუაშვილისათვის ხელფასის უმართებულოდ გაცემისა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით სამმართველოს მთავარ ბუღალტერს ვ. ქუთათელაძეს დაეკისრა ფულადი დარიცხვა—100 მანეთის ოდენობით.

ᲡᲐᲠᲔᲘᲓᲝ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲛᲣᲧᲐᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ეფექტიანობის ამაღლებაში დიდი წვლილი შეაქვთ „საქღვინმაჭანის“ საწარმოო გაერთიანების საზოგადოებრივ კონტროლიორებს. ისინი ამოწმებენ სამსახურების, უბნების, საამქროებისა და ბრიგადების საქმიანობას, ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციას ჩაუნერგონ ადამიანებს ხალხის დოვლათისადმი ნამდვილი მეურნის ყაირათიანი დამოკიდებულების გრძნობა. მათი საქმიანობა მაღალი ეფექტიანობით, ქმედითობით გამოირჩევა.

უკანასკნელ ხანს სახალხო კონტროლიორთა აქტიური მუშაობის წყალობით გაერთიანებაში დაიზოგა დაახლოებით 100 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და ათასი ტონა პირობითი სათბობი.

დიდ ყურადღებას უთმობენ სახალხო კონტროლიორები პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ებრძვიან შრომითი და საწარმოო დისციპლინის დამრღვევებს, წუნის მკეთებლებს.

ᲜᲣᲠᲐᲗᲝᲜᲘ: საამწყობო საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ოსტატი სულიკო ნიშნიანიძე (მარცხნივ) და სახალხო კონტროლიორი, ამწყობი ზეინკალი კარლენ მაკოიანი ამოწმებენ ყურძნის გადასამუშავებელი მანქანის აწყობის ხარისხს.

Გ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ-ᲖᲝᲒᲐᲓᲘ, ᲙᲐᲛᲐᲗᲘ-ᲖᲔᲠᲔᲚᲘ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ დღე დამთავრდა, ვატერორმა კარები ჩაკეტა.

— კრებაზე! კრებაზე! — ეუნებოდა იგი ყველას, ვინც შინ ჯასელას აპირებდა.

— მოითმინეთ, სულ ნახევარი საათიც კი არ დაგვჭირდება, მალე დავამთავრებთ, — მიმართა შეკრებილთ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ფ. პლიევმა.

— ნახევარი საათი რა საჭიროა, ახლოდან ხუთი წუთი! — ამბობს ᲘᲛᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ, სახალხო კონᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ თავმჯდომარე Ა. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲫᲔ, და მართლაც ასე ᲛᲝᲮᲓᲝᲓᲐ. მან ზოგადად თქვა: „ჩვენი ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფში 15 კაცი იყო არეული, მოვაწყვეთ 15 შემოწმება-რეიდი. განსაკუთრებულ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ვაქცევდით შრომის დისციპლინის განმტკიცებას, რამდენიმე საყვედური გამოეცხადა. სათანადოდ ვაკონტროლებდით პროდუქციის ხარისხს. დამნაშავეები დაისაჯნენ. შემოწმდა მუშათა სასადილო, გაუმჯობესდა მომარაგება, კერძების ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ“.

ᲯᲒᲣᲤᲘᲡ თავმჯდომარეს საანგარიშო მოხსენებაში არც ერთი დამნაშავის გვარი არ დაუსახელებია. ცხადია, ასეთი მოხსენება ბიძგს ᲕᲔᲠ მისცემდა ᲙᲐᲛᲐᲗᲡ, არავის სურდა ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘ თქმა.

— გამოდით, თქვით რამე!— იძახდა თავმჯდომარე.

დუმილი ქარხნის დირექტორმა ბ. კაბისოვმა დაარღვია.

— ქარხნის საქმიანობის ყველა ᲙᲣᲗᲮᲕᲔᲚᲨᲘ იხედებოდნენ სახალᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ იგი, — მათს თვალს შეუᲛᲩᲜᲔᲚᲘᲐ არაფერი რჩებოდა, ეხმარებოდნენ დირექციას ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. მაგალითად, წლების მანძილზე ქარხანაში სწორად არ იყენებდნენ ენერგორესურსებს, იყო დიდი დანაკარგები. კონტროლიორებმა შეამჩნიეს და სათანადო ზომებიც მიიღეს, ახლა ენერგორესურსები ეკონომიურად იხარჯება და ამისათვის პრემიაც

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

კი გაიცა. კონტროლიორთა ფიზიზელი თვალი მიმართული იყო აგრეთვე ფინანსურ მდგომარეობაზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე... გამოდით, თქვით რამე, რისი გერიდებათ? — ასე დაამთავრა დირექტორმა გამოსვლა.

სიტყვას ქარხნის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე ს. ცხოვრებოვი იღებს:

— ცალ-ცალკე რომ მოდიხართ ჩემთან და ჩივით, რატომ აქ არ ამბობთ, რაც გაწუხებთ? — მიმართა მან კრების მონაწილეებს.

— რომ ვთქვათ, ამით რა გამოვა? — გაისმა დარბაზიდან.

— გამოვა, აქ გვესწრება ქალაქის სახალხო კონტროლის პასუხისმგებელი მუშაკი, იგი დაგვეხმარება საქმის მოგვარებაში, მე კი ვიტყვი პირუთვნელად, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობა მოისტეტებს, მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი ჯარიმებზე, რომლებიც მივიღეთ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის, საამქროებში დაბალია საწარმოო კულტურა, არ გვყოფნის ინსტრუმენტები, სასადილოს მუშაობა ისევ მოუწესრიგებელია, არ გაგვიახლებია მოწინავეთა სტენდი.

— მეც სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი ვიყავი, — ამბობს საწარმოს მოწინავე მუშა ივანე შულიაკი, — ვამოწმებდით პროდუქციის ხარისხს, შრომის დისციპლინას. ქარხანამ რომ მბარი აუბა ქალაქის მოწინავე საწარმოებს, ამაში კონტროლიორთა წვლილიც არის. მარტო ჩვენი ჯგუფის წევრებისა კი არა, ყველას ვალია ვიზრუნოთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ჯგუფის თავმჯდომარეს რომ ეუსაყვედურებთ, ისიც ხომ მუშაკია, ვინ დაეხმარა, ვინ ამოუღდა მხარში?

მართალი იყო ი. შულიაკი. მექანიკური ქარხნის პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ სახალხო კონტროლის ჯგუფთან. აირჩიეს თავმჯდომარედ მუშაკაცი, და მერე მისკენ არავის გაუხედავს. ამ კრებამ ნათელყო, რომ თავმჯდომარეს არავინ შეეშველა საანგარიშო მოხსენების შედგენაში, კრების მომზადებაში...

ჩანს, პარტიის ცხინვალის საქალაქო და სახალხო კონტროლის კომიტეტები მშვიდად არიან, რადგან ერთმა წელია საწარმოს სათავეში ჩაუდგა ენერგიული მუშაკი ბ. კაბისოვი.

მისი მოსვლის შემდეგ საწარმო მოწინავეთა რიგებში ჩადგა. შარშანდელი მაჩვენებლებისათვის ქარხანა დაჯილდოდა პარტიის სმხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, საოლქო საბჭოს აღმასკომისა და კომკავშირის სმხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

პირველ კვარტალში აქ მთლიანი პროდუქციის გამოშვების დავალება 102 პროცენტით შესრულდა, რეალიზაციისა — 101,5 პროცენტით, შემცირდა წუნი, ამაღლდა ხარისხი. დაიწყო ამწის უნიფიცირებული კაბინების გამოშვება, რაც, წინასწარი გამოანგარიშებით, 120 ათას მანეთ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

არის შეფერხებებიც, ჯერ კიდევ ყოვნდება მასალებით ქარხნის მომარაგება.

ცხინვალის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მექანიკური ქარხნის ახლად არჩეულ სახალხო კონტროლის ჯგუფს, მის თავმჯდომარეს — ქარხნის მოწინავე ელექტრომემონტაჟეს ნ. ძუკაევს, რომ მომავალი „ანგარიშგება-არჩევნების დროს მსგავსი სურათი არ განმეორდეს.

Გ. ᲗᲔᲓᲔᲔᲕᲘ.

ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲡᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ?

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ურიტმო, უყაირათო მუშაობის ერთ-ერთი მიზეზი სატვირთო ვაგონების მოცდენაა. ამ მდგომარეობამ ბოლო ხანს თავი იჩინა სიღნაღის რაიონის წნორისა და მაღაროს სადგურებში, ცხადია, შესაბამისად გაიზარდა ჯარიმა-გადასახადის თანხა.

სიღნაღის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეისწავლა ეს მდგომარეობა და საკითხი თავის მორიგ სხდომაზე განიხილა. გამოირკვა, რომ ამ ორ სადგურში ვაგონების ზენორმატიულმა მოცდენამ 3.400 ერთეულს გადააჭარბა. მოცდენები ძირითადად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების ბრალია, რისთვისაც მათ 60.000 მანეთამდე ჯარიმა გადაიხადეს.

მარტო ერთი ორგანიზაციის „ᲝᲠᲬᲧᲐᲚᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ მიზეზით მოცდა 1.186 ვაგონი, ანუ უქმად დაიხარჯა 7.318 საათი. ამისათვის ორგანიზაციამ 8.636 მანეთი ჯარიმა გადაიხადა. ვაგონების მოცდენებისათვის 5.000 მანეთამდე ჯარიმა გადაიხადა აგრეთვე სიღნაღის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციამ.

სარკინიგზო ვაგონების ბრუნვის გრაფიკებს ასევე უხეშად არღვევენ და დიდძალ ჯარიმებს იხდიან ციკავშირის წნორის საბითუმო ბაზა, ნავთობბაზა და სხვ.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, — ითქვა კომიტეტის სხდომაზე, — რომ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სახალხო კონტროლის ჯგუფები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ რკინიგზის სადგურებში მოსული ვაგონების გადმოტვირთვას, არ აანალიზებენ მოცდენებს, ზარალს და ა. შ.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით ზამთრ დასახელებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დააკისრა ფულადი დარიცხვა ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

Გ. ᲛᲔᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲛᲘᲪᲕᲐᲗ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ— ᲬᲧᲐᲠᲝ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ!

ᲒᲚᲕᲘᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ანკარა მდინარეები და კამკამა ხევა თავიანთი შესანიშნავი სანაპიროებით არა მარტო სილამაზისა, არამედ ადამიანთა ჯანმრთელობის წყაროა. ზღვები და მდინარეები სავსეა ცოცხალი ორგანიზმებით, რომელთაც ხალხისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არის, რომ პარტია და მთავრობა სახსრებს არ იშურებენ მათ დასაცავად, ზღვისა და მდინარეების ბინადართა გასამრავლებლად.

ამ მხრივ პარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტებმა ბოლო წლებში მთელი რიგი არსებითი ღონისძიებები განახორციელეს. საეკსპლოატაციოდ გადაეცა ბათუმის ფეკალური და ჩამდინარე წყლების შეკანიური ხაზენი ნაგებობა, ზღვისპირა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში აშენდა ან შენდება აგროტექნიკური, ჰიდროსამელიორაციო და საშენდი კომპლექსები, რომელთაგან აღსანიშნავია ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, ნავთობგადასატვირთი ცენტრალური ბაზის და ზოგიერთი სხვა მსხვილი საწარმოს საშენები კომპლექსები. აღსანიშნავია აგრეთვე ერთ-ერთი უდიდესი კომპლექსის ქობულეთ-მახარაძე-ურეკის საშენები ნაგებობის შენებლობა. მშენებლები („საკკომუნსპეცმშენის“ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ მმართველი თ. ადამაშვილი, სამშენებლო სამმართველოს უფროსი ტ. ბერიძიძე) საგზგმო დავალებებს კარგად ასრულებენ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქობულეთის კანალიზაციის მშენებლობისათვის რატომღაც ძალიან მცირე სახსრებია გამოყოფილი. სამშენებლო დავალებს ასევე წარმატებით ასრულებს მშენებლობის სამინისტროს № 28 მორავა-შექანიზებული კოლონა (უფროსი — გ. ჩაბვაძე).

ბათუმის შეკანიკური საშენდი კრცელი კომპლექსური ღონისძიების მხოლოდ პირველი საფეხურია, მთავარი ნაგებობა კი ბიოლოგიური საშენდი ობიექტი იქნება, რომელიც 1981 წელს უნდა გადაეცეს საეკსპლოატაციოდ. იგი შენდება პირველი ნაგებობის ზონაში და ამუშავების შემდეგ უზრუნველყოფს ჩამდინარე და ფეკალური მასების ბიოლოგიურ გაწმენდადამუშავებას.

როგორც ვხედავთ, ბათუმსა და აჭარის სხვა ქალაქებში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, მაგრამ რეიდებმა და ტექნიკური ხასიათის შემოწმებებმა ისიც გამოხალინა, რომ მრავალი საწარმო-დაწესებულებისა. და სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, იჩენენ გულგრილობას, აჭიანურებენ ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულებას. არის შემთხვევა, როცა საშენდი ნაგებობები გაუმართავად მუშაობენ, რაც გარემოსა და წყლების გაჭუჭყიანებას იწვევს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ბათუმის ჰიდროქიმიური ლაბორატორიის მონახისძირისა“ და „ნაუკის“ კანალიზაციის მშენებლობის პროექტი ჯერ კიდევ 1975 წელს შედგა. დაიწყეს მშენებლობაც, რომელსაც კურორტმშენის აჭარის სარემონტო სამშენებლო კანტორა აწარმოებს, მაგრამ გამოყოფილი თანხის მესამედსაც ვერ ითვისებენ, ხან რას იმიზეზებენ, ხან რას, საქმე კი ბოლო არ უჩანს.

მდინარეებს ნაკლითა და წუნწუხით აბინძურებენ ქობულეთის რაიონის ჯახათის, ქობულეთის, ლეღვას, ბობოყვათის, ზედა აჭყვის, ციხისძირის, ხელვაჩაურის რაიონის აჭარის აღმართის, კირნათის, ჩხუტუნეთის და სხვა კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმები.

გარემოსა. და ზღვის გაჭუჭყიანების კერებია გარაჟები, ავტოპროფტექმომსახურების ზოგიერთი სადგური და ის ბენზინგასაწყობი ობიექტები, რომელთაც არა აქვთ საშენდი საშუალებები. სად არ ნახავთ დაღვრილს ნახმარ ზეთებს, არ ხდება მათი ორგანიზებული შეგროვება. ბათუმის რკინიგზის სატვირთო სადგურის ტერიტორიაზე თვალის ერთი გადაევლებითაც შენიშნავთ ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანებულ ლიანდაგის ხაზებსა და შომიჯნავე ტერიტორიას.

რესურსების მაქსიმალური გამოყენება დამოკიდებულია მშენებელ ორგანიზაციებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია გეგმებს წარმატებით ასრულებს, ზოგიერთი ვერ ითვისებს გამოყოფილ სახსრებს. ეს ითქმის აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოზე, რომელიც ქ. ბათუმში აშენებს კოლექტორებს.

ბათუმის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილად და მშრომელთა დასვენების კერად ჰოიოერთა პარკი და მისი ლურჯად მოლივლივე ტბა ითვლება. აქ ფეხს იდგამენ ნორჩი ნიჩბოსნები, ამართავა მრავალი სპორტული ღონისძიება. პარკის მწვანე სამოსს, მის ფლორასა და ფაუნას წინათ ათობით ჰექტარი ეკავა. ახლა არ შევუდგებით იმის განსჯას, თუ რამდენად მართებულია, რომ ქალაქის განაშენიანებამ პარკი ყოველი მხრიდან შეავიწროვა და ჩიხში მოამწყვდია. ჩვენ ამჟამად გვინდა მოკლედ შევეხოთ პიონერთა პარკში არსებულ ტბას. როგორც პარკის დირექტორმა რ. ბოლქვაძემ შემოგვიჩივლა, ქალაქიდან ღვარსადენით ჭუჭყიანი წყალი ტბაში შემოდის, ხოლო ტურგენევის ქუჩის მხრიდან მას შლამი ემატება. ყველაფერი ეს არა მარტო ანტისანიტარიას ქმნის, არამედ საფრთხეს უქმნის ტბის შემდგომ არსებობას. ამიტომაც ქალაქის მშრომელთა და მომავალი თაობის ინტერესებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია მივხედოთ ამ ტბას, დაუყოვნებლივ ჩავკეტოთ ღვარსადენები, მივუშვათ ტბაში ზღვის ან მდინარის სუფთა წყალი.

ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲑᲣᲦᲔᲓᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲘᲗᲔ ᲜᲐᲒᲐᲕᲘᲡᲬᲧᲐᲠᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲛᲘᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲚᲘᲕᲚᲘᲕᲔ ᲢᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲠᲩᲣᲚᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲣᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲘᲗ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲠᲩᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲘᲛᲘᲗᲝᲛᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲐᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐ

რეკომენდაციას აძლევს კოლექტივი

პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის

„ეს კაცი თავის ადგილზეა“ — ასეთ შეფასებას გაიგონებ, როცა სიტყვა კარგ ხელმძღვანელზე ჩამოვარდება ხოლმე. თუ თავის ადგილზეა, მაშასადამე, იცის, რა და როგორ გააკეთოს, უნარიანად წყვეტს დასახულ ამოცანებს. მაშასადამე, არ შემცდარან მისი დაწინაურებისას, როგორც ამბობენ, ზუსტად მოხვდნენ მიზანში.

და მაინც ხდება, რომ უმტყუნებთ ხოლმე ალღო: ხელმძღვანელი სამუშაოზე რეკომენდებულნი ვერ ამართლებენ ნდობას. რატომ ხდება ასე? ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ იჩქარეს, ჯეროვნად ვერ შეაფასეს დასაწინაურებელი კანდიდატი. ხოლო იმის განსაზღვრა, გამოდგება თუ არა კაცი კონკრეტული თანამდებობისათვის, ოღონ არ არის. ვ. ი. ლენინი მოგვიწოდებდა, რაც შეიძლება ფრთხილად და მოთმინებით გამოვცადოთ და შევიცნოთ ნამდვილი ორგანიზატორები, რათა თავიდან ავიცილოთ შემთხვევითობანი. იგი გვირჩევდა ამ დროს უფრო სრულად ვითვალისწინებდეთ კოლექტივის აზრს. კანდიდატურების გულმოდგინე და ყოვლისმხრივ განხილვას მათი საქმიანობის ადგილზე ფართოდ იყენებენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები. ამ თვალსაზრისით დაგროვილ გამოცდილებაზეა სწორედ ლაპარაკი ქვემოთ გამოქვეყნებულ წერილში.

ეს გამოცდილება უნდა განვიხილოთ ამ დადებითი ცვლილებების პრიზმით, რომლებიც რესპუბლიკის ცხოვრებაში მოხდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ. მივახსენებთ, რომ მან აღნიშნა ფიდი ნაკლოვანებები და ხარვეზები კადრების შერჩევაში, აღზრდასა და განაწილებაში. განხილულად დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ამ დადგენილების შესასრულებლად: ათი წლის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ „პარტიული ორგანოები უფრო სრულად ითვალისწინებენ კომუნისტების, მშრომელთა კოლექტივების აზრს, ეს საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ახლო წარსულში დაშვებული შეცდომები მუშაკთა შეფასების, პირადი ერთგულების, ნათესაური და ძმაბიჭობის ნიშნით ზოგი დაწინაურების დროს“.

გაზეთადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ კადრების სწორმა შერჩევამ, მათი მუშაობის სტილის სრულყოფამ ბევრად შეუწყო ხელი იმას, რომ რესპუბლიკამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს სსრ რესპუბლიკა ზედიზედ შვიდჯერ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წოდელი დროშით.

ცხობილია, ხელმძღვანელი ის კაცია, რომელსაც შეუძლია მასების ორგანიზება, გაძღოლა, მათი მეცადინეობის მობილიზება დასახული მიზნების მისაღწევად. იგი კოლექტივის აღმზრდელიც არის. რამდენად შეესაბამება მაღალ მოთხოვნებს რეკომენდებული ამხანაგი, თავს გაართმევს თუ არა თავის მოვალეობას? ეს კითხვა მუდამ დგება ხოლმე პარტიული კომიტეტების წინაშე საკადრო საკითხების გადაწყვეტის დროს. და დასაწინაურებელი კანდიდატის ღირსებების და ნაკლის შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთი წყაროა იმ კოლექტივის აზრი, სადაც იგი შრომობს. მართლაც, ვინ შეიძლება უკეთ იცნობდეს კაცს, თუ არა ის, ვინც მის გვერდით მუშაობს?

ამ ბოლო წლების მანძილზე საწარმოებიდან, მშენებლობებიდან, კოლმეურნეობებიდან, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებიდან კოლექტივის აზრის გათვალისწინებით ასეთი მუშაკი დაიწინაურეს. ისინი სათავეში ჩაუდგნენ პასუხსაგებ უბნებს ბევრ სამინისტროსა და უწყებაში, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში. მაგალითად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოველ მეორე ნომენკლატურულ მუშაკს რეკომენდაცია მისცეს შრომითმა კოლექტივმა და პირველადმა პარტორგანიზაციამ. მარტო თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნიდან ასეთი რეკომენდაციებით პასუხსაგებ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე ოცდაათამდე კაცი გაგზავნა. მაგალითად, ქარხნის დირექტორი ა. ბუაძე — რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, მთავარი ინჟინერი თ. ჯაბაური — ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს — ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსად.

სიღნაღის რაიონში ამ ბოლო ორი წლის მანძილზე 144 დაწინაურებული პასუხისმგებელი მუშაკიდან 57-ს რეკომენდაცია მისცეს შრომითმა კოლექტივებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ყველა ისინი წარმატებით ართმევენ თავს თავიანთ მოვალეობებს.

როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ასეთი პრაქტიკა, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს პარტიულ კომიტეტს უფრო სრულად შეისწავლოს ხელმძღვანელი პოსტის კანდიდატის ღირსებები და ნაკლი, ხოლო, მეორე მხრივ — უზრდის ამხანაგს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობას. მას რეკომენდაცია კოლექტივმა მისცა — მაშასადამე, პასუხს აგებს იმათ წინაშე, ვინც თავდებად დაუდგა.

ამას წინათ მუშაობაში ტაიროზული ხარვეზებისათვის თანამდებობიდან მოხსნეს ქალაქ თბილისის ერთ-ერთი რაიონის კვებვაჭრობის უფროსი ვ. ხუციშვილი, რაიკომის წინაშე დადგა საკითხი, ვინ დაენიშნათ ამ მნიშვნელოვან და პასუხსაგებ უბანზე. ყველა მონაცემის მიხედვით თითქოს შესაფერი იყო ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის პარტბიუროს მდივანი ზაირა ზურაბიშვილი. მაგრამ რას იტყვის კოლექტივი? მან ხომ ბევრჯერ თვითონაც იწვნია რაიონის სავაჭრო საწარმოების ცუდი მუშაობა. შეძლებს კი მათი პარტბიუროს მდივანი საქმის გამოსწორებას? ქარხნის კოლექტივთან მოსათბირებლად მოვიდნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. კუხალაშვილი და რაიადმასკომის თავმჯდომარე ბ. ძამიევი, გაიმართა საფუძვლიანი სჯა-ბაასი.

— რა თქმა უნდა, გვენანება ზაირასთან განშორება. კარგად ავაწყვეთ მუშაობა, დავმეგობრდით. ბევრად მისი დამსახურებაა, რომ ქარხანაში ნამდვილად ერთსულოვანი, შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო შეიქმნა. ზურაბიშვილი კარგი ორგანიზატორი, პატიოსანი, მომთხოვნი მუშაკია. ვფიქრობ, დაამყარებს წესრიგს ვაჭრობაში.

ამას ამბობდა მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელიზა ჩიბოშვილი. ეს კოლექტივის ბევრმა სხვა წევრმაც თქვა. კრების ოქმში ჩაიწერა: „ერთსულოვნად ვიწონებთ ზ. ზურაბიშვილის კანდიდატურას და, დარწმუნებული ვართ, იგი თავს გაართმევს სამუშაოს“.

კოლექტიური დახასიათებები მარტო დადებითს აზრებს როდი შეიცავს. ძველი ქართული სიბრძნე ამბობს: თუ სიკეთე გინდა, პირში უთხარი სიმართლე კაცს, თუნდაც მწარე იყოს ეს სიმართლე. ხუ გეშინია, თუ თავდაპირველად გაგინაწყენდა, მერე შეიგნებს, რომ მეგობარი ხარ მისი. განხილვის დროს ღირსებებთან ერთად ნაკლსაც აღნიშნავენ, გამოთქვამენ სურვილებს, კრიტიკულ შენიშვნებს. როცა ამხანაგს პარტიულ კომიტეტში ამტკიცებენ, მას შეახსენებენ ხოლმე კოლექტივის აზრს. ურჩევენ, თუ რას მიაქცევს უპირველესი ყურადღებას. შემდგომში კომიტეტის შესაბამისი განყოფილება აკონტროლებს, ყურად იღო თუ არა კაცმა კრიტიკა და რა დასკვნები გამოიტანა.

აი სულ ახალი მაგალითი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად ამტკიცებდნენ რ. წიგნაძეს. დამსწრენი მას იცნობდნენ როგორც კვალიფიციურ სპეციალისტს, დაავლების ზუსტად შემსრულებელ მუშაკს. მაგრამ აი ბიუროს ერთ-ერთი წევრის კითხვა:

— როგორ ეკიდება წიგნაძის დაწინაურებას კოლექტივი?

— მის კანდიდატურას, საერთოდ, დაუჭირეს მხარი. მაგრამ გამოითქვა შენიშვნა, ზოგჯერ კაბინეტური სტილით მუშაობა ურჩევნიაო. ურჩიეს, ხშირად ეწვიოს ხოლმე შრომითს კოლექტივებს, მეტი საერთო გამონახოს ადამიანებთან.

ამხანაგი ისმენს რჩევა-დარიგებას, პირობას აძლევს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რომ გაითვალისწინებს შენიშვნებს. და არა მარტო აძლევს პირობას, არამედ, როგორც სოფლის მშრომელები ამბობენ, თავისი მუშაობის სტილსაც იცვლის.

ხდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ მოტივით კანდიდატურას აცილებას აძლევენ. ეს მოწმობს პრინციპულობას, მაღალ მომთხოვნელობას, რომელსაც შრომითი კოლექტივები უყენებენ იმათ, ვინც მსგავს სათავეში უნდა ჩაუდგეს.

დასაწინაურებელი კანდიდატების ყოველმხრივი, საქმიანი განხილვა საშუალებას გვაძლევს არა მარტო უკეთ შევისწავლოთ კადრები, თავიდან ავიცილოთ შეცდომები, არამედ ხელსაც გვიწყობს კარგი მორალური კლიმატი შევქმნათ შრომითს კოლექტივებში. პრაქტიკულად გამორიცხულია ხოლმე მითქმა-მოთქმა, ასეთი ტიპის განცხადებები და წერილები: „დაუსახურებლად, უმართებულოდ დაწინაურეს“, „უწონდელ სამუშაოზე არაფრით არ გამოუჩენია თავი, მაგრამ დაწინაურეს“, „კეთილი ძიების ზურგი აქვს...“. კოლექტიური მსჯელობის დროს ყველას შეუძლია საჯაროდ გამოთქვას თავისი აზრი.

ერთი სიტყვით, ამ მეთოდს, თუ მას ფორმალურად არ მივუდგებით, როგორც პრაქტიკა მოწმობს, უეჭველი სარგებლობა მოაქვს. რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა ხელმძღვანელთა შეცვლა ისეთი მოტივებით, როგორიც არის არაკომპეტენტურობა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. 40 ათასი ნომენკლატურული მუშაკიდან 91 პროცენტს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება. მათ შორის ყოველი მესამე ორმოცდ წელზე ახალგაზრდაა. როგორც გვიჩვენებს სოციოლოგიური კვლევა, რომელიც შვიდ რაიონში მოაწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის საბჭოსთან ერთად, ახლახან დაწინაურებულ ხელმძღვანელთა ავსილუტური უმრავლესობა შეიმოქმედებითად, ინიციატივიანად მუშაობს, ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი ხელქვეითთა შორის.

სხვათა შორის, ისინი პერიოდულად ანგარიშს აბარებენ ხოლმე ყოფილ თანამშრომლებს: არიან თუ არა განაწყენის ერთგულნი, ამართლებენ თუ არა ნდობას? ახლახან მკაცრი, მომთხოვნი გამოცდა ჩაბარა, მაგალითად, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხანაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. საჩკვმა, რომელიც წინათ აქ პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობდა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველა პარტიული კომიტეტი როდი იღებს ყურად მასების ხმას, როცა საკადრო საკითხებს წყვეტენ. ხოლო საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფას, ჩვეულებრივ, მუშაობის ჩაშლა, მორალური ზარალი მოყვება ხოლმე. აი, რატომ მოეკიდა ასე მკაცრად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიის წულუკიძისა და ვანის რაიკომების სამეურნეო ხელმძღვანელთა მცდარი შერჩევის ფაქტებს, დაგმო მანკიერი პრაქტიკა, როცა ზოგჯერ ხელმძღვანელ თანამდებობებზე აწინაურებდნენ მოუმზადებელ პირებს, ვიღაცის მფარველობის, ნაცნობობის შედეგად და სხვ.

რა თქმა უნდა, არ უნდა გვეგონოს, თითქოს კოლექტივებში, პირველადს პარტორგანიზაციებში დასაწინაურებელ კანდიდატურაზე ბჭობა, როგორც ამბობენ, ყოველისშემძლე თილისმა იყოს.

— ეს ხელმძღვანელთა შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა. და იგი საჭირო უფლებას მხოლოდ იმ ღონისძიებებთან კომპლექსურ იძლევა, რომლებსაც გაანზრახავენ ადორეველ პარტიულ ორგანიზაციებში. [illegible] კომიტეტის [illegible] ორგანიზაციულ-პარტიულ [illegible] ორგანიზაციებს [illegible] ინიციატივა [illegible] ორგანიზაციებს [illegible] ინიციატივა [illegible] ორგანიზაციებს [illegible] ინიციატივა



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲖᲝᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ 1980-81 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ:

1. ᲖᲝᲝᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ) ᲖᲝᲝᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲗ.

2. ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ) ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲗ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ 35 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲖᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲚᲐᲥᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ. ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲗᲗᲐᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲗᲗᲐᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲠ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲛᲝᲰᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲘᲛ ᲞᲘᲠᲗᲗᲐᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲛᲝᲰᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲠ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲛᲝᲰᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲐᲜᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡᲐᲜᲘ მუდმივად სოფლად მცხოვრები პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა 2 წლის სტაჟი უმაღლესში ამორჩეული სპეციალობით, უწინარეს ყოვლისა წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სასწავლებლად თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის დადგენილებისა და წარმოადგენენ დაფდგენილი ფორმის მიმართვას.

განცხადება მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და მიუთითოთ სპეციალობა. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; 2) დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმოო დაწესებულების ხელმძღვანელები. ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ სკოლის ხელმძღვანელის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებას; 3) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს სავალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული კაცდღეების რაოდენობა წლების მიხედვით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან მოვლენიგბულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებელში მივლინების შესახებ; 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5) ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ), ზომა 3X4 სმ.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ჩათვლით ყოველდღე გარდა კვირისა, 12-დან 17 საათამდე.

მისაღები გამოცდები გაიმართება 1-დან 20 აგვისტომდე.

დაფვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ მისაღებ კომისიაში.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝ: თბილისი — კრწანისი, ზოოტექნიკურ-საცხოველთა სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, ავტობუსი № 23.

ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ — ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘ!

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზი“ აცნობებს ყველა სამინისტროსა და უწყებას, ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომელთა ტერიტორიაზე გადის მაღალი ძაბვის (55 ატმოსფეროამდე) მაგისტრალური გაზსადენი, რომ გაზი ფეთქადი და ხანძარსაშიშია.

მაგისტრალური გაზსადენის მექანიკურმა დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს გაზსადენის ავარია, რომელსაც ჩვეულებრივთან ახლოს დიდი ძალის აფეთქება და ხანძარი, რასაც შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გაზსადენის დაზიანება, აუცილებელია მხედველობაში გვქონდეს შემდეგი:

1. სამშენებლო ნორმების (იხ. სამშენებლო ნორმები და წესები 11-45-75) და მაგისტრალური გაზსადენების დაცვის წესების (დამტკიცებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 აპრილის დადგენილებით) შესაბამისად, გამოიყოფა დაცვის ზონა და მინიმალური დასაშვები მანძილი მაგისტრალური გაზსადენის ღერძიდან დასახლებულ პუნქტამდე, სამრეწველო საწარმოამდე და ცალკეულ შენობებამდე.

2. მაგისტრალური გაზსადენის დაცვის ზონაში კატეგორიულად აკრძალულია:

ა) რაიმე ნაგებობის აშენება;

ბ) კოლექტიური ბაღების ორგანიზება;

გ) სამშენებლო, სამონტაჟო, ასაფეთქებელი, კარიერული, სამთო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება;

დ) მიწის სამუშაოების შესრულება და სხვა მიწისსათხრელი მანქანების გამოყენებით გაზსადენის მფლობელთა სპეციალური ნებართვის გარეშე;

ე) საქონლის საგოგმანის მოწყობა, პროდუქტების, სილოსისა, სასუქების, საწყობების აგება, თივის, ბზის დაზვინვა, კოცონის ანთება, სასროლების გამართვა;

ვ) საველე სადგომების მოწყობა, ხალხის შეგროვება;

ზ) დროებითი დასასვენებელი ადგილის და გასაჩერებლების მოწყობა, კარავების გაშლა და სხვა;

ი) საველე გზის გაყვანა გაზსადენიდან 10 მეტრზე ახლოს;

კ) სახაზო ჩამკეტი არმატურის, კათოდური და სადრენაჟო სადგურების მიღება;

3. მაგისტრალური გაზსადენის 25 მეტრიან ზოლში, ორივე მხარეს აკრძალულია მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგვა.

4. კატეგორიულად აკრძალულია გაზსადენის ტრასის გამოყენება სატრანსპორტო გზად და გაზსადენის გადაკვეთა მძიმეწონიანი მექანიზმებით და ტრანსპორტით სპეციალური გადასასვლელების მოუწყობლად, რომელიც შეთანხმებულ უნდა იქნეს გაზსადენის მფლობელებთან.

5. მაგისტრალური გაზსადენის დაცვის ზონაში ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას სამუშაოს მწარმოებელი ორგანიზაციები, საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვები ვალდებული არიან სსრკ-სათესი და სხვა სამუშაოთა წარმოებისას გაზსადენის მფლობელ ორგანიზაციასთან შეათანხმონ აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარება და მიიღონ სპეციალური ნებართვა სამუშაოს შესრულების ადგილისა და დროის მითითებით, მასზე კონტროლისა და ღონისძიებათა გატარებით, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, გაზსადენისა და მასზე მყოფ დანადგართა დაცვას.

6. გაზსადენის დაცვისათვის აღნიშნული ღონისძიებები სრულდება სამუშაოს ორგანიზაციათა ძალებითა და სახსრებით გაზსადენის მფლობელ ორგანიზაციის მიერ გაცემული ტექნიკური პირობების თანახმად.

7. ყველა სახის სამუშაოები ჩატარებულ უნდა იქნეს გაზსადენის მფლობელ ორგანიზაციათა პასუხისმგებელ პირთა დასწრებით.

8. სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც დაარღვევენ გაზსადენის დაცვის ზონას აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ორგანიზაციების ხელმძღვანელებო, სამუშაოთა მწარმოებლებო, ოსტატებო, ბულდოზერის, ექსკავატორის და სხვა სამშენებლო და-სასოფლო სამეურნეო მანქანების მემანქანეებო, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ბრიგადირებო:

— მიაქციეთ ყურადღება გამაფრთხილებელ ნიშნებს, რომლებითაც აღნიშნულია გაზსადენების ტრასა, ნუ დაარღვევთ მაგისტრალური გაზსადენის დაცვის მომქმედ წესებს;

— **გაზსადენიდან გაზის გაყოლვის შენიშვნისას გთხოვთ სწრაფად აცნობოთ გაზსადენის მფლობელ სახაზო-საწარმოო სამართველოებს შემდეგი მისამართებით:**

1. საგურამოს სსს — მცხეთის რაიონში, სოფელი საგურამო: ტელეფონი 66-22-49, მცხეთის ატს 22-54.
(მომსახურეობას უწევს მაგისტრალური გაზსადენების მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, წითელი წყაროს, კასპის, გორის, ქარელის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე).

ყაზბეგის სსს — ყაზბეგის რაიონი, სოფელი არშა, ტელეფონი ყაზბეგის ატს — 24-30- და 24-31
(მომსახურეობას უწევს გაზსადენების ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ტერიტორიაზე);

3. ქუთაისის სსს — თერჯოლის რაიონი, სოფელი სარბევი; ტელეფონი 5-53-50
(მომსახურეობას უწევს გაზსადენების ბორჯომის, ხაშურის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოს რაიონების ტერიტორიებზე).

ტექნიკური პირობების მიცემასა და პროექტების შეთანხმებას აწარმოებს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზი“. გაერთიანების მისამართია: ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი 12, ტელეფონი: 66-23-14, 66-15-06 66-11-89.



ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ №54 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ-ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1980-1981 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲪᲘᲐᲚᲘᲖᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ექსკავატორის მემანქანე (ქართული სექტორი); ბულდოზერის, სკრეიპერის მემანქანე (რუსული სექტორი); კომკურა ამწის მემანქანე (ქართული და რუსული სექტორი); შემლესავ-მომპირკეთებელი მეფილე (ქართული და რუსული სექტორი); ზეინკალ-სანტექნიკოსი (რუსული სექტორი); ავტომაწყის მემანქანე „C“ კატეგორიის მძღოლის უფლებით (ქართული და რუსული სექტორი).

აღნიშნულ სპეციალობებზე მიიღებიან საშუალო სკოლების 8 კლასის განათლების მქონე მოსწავლეები.

სწავლის ვადა 3 წელია, სწავლების პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. მოსწავლეები იმყოფებიან არასრულ სახელმწიფო ქმაყოფაზე და დადგენილი წესით მიეცემათ ფულადი ანაზღაურება საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მათ მიეცემათ საშუალო განათლებისა და სპეციალური განათლების დიპლომი.

საშუალო განათლების მქონე გოგონები და ჭაბუკები მიიღებიან სასწავლებლის ფილიალში შემდეგ სპეციალობებზე: ექსკავატორის მემანქანე (რუსული სექტორი); ბულდოზერის, სკრიპერის მემანქანე, (ქართული სექტორი); კომკურა ამწის მემანქანე (რუსული სექტორი); შემლესავ-მომპირკეთებელი მეფილე (ქართული და რუსული სექტორი); ავტომაწყის მემანქანე „C“ კატეგორიის მძღოლის უფლებით (ქართული სექტორი); ანვევმომუხლუნა ამწის მემანქანე (რუსული სექტორი).

სწავლების ვადა 3 წელია.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის განათლების მქონე 15 წლის გოგონები და ვაჟები. მოსწავლეები პროფესიასთან ერთად შეიძენენ სრულ საშუალო განათლებას.

სასწავლებელი ამზადებს შემდეგ პროფესიათა სპეციალისტებს: 1. ელმავლის მემანქანე, 2. ელმავლის მემანქანის თანაშემწე, 3. თბომავლის მემანქანის თანაშემწე, 4. ელმავლის შემკეთებელი ზეინკალი, 5. სადგურის მორიგე, 6. საკონტაქტო ხაზის მემონტაჟე, 7. რკინიგზის ტრანსპორტის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მემონტაჟე; 8. რკინიგზის ტრანსპორტის კავშირგაბმულობის მონტიორი.



სწავლების ვადა 3 წელია.

სასწავლებელი ამზადებს ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის, ელექტრული კავშირის, ელექტრული ნაგებობების, ელექტრული ტრანსპორტის, ელექტრული ენერგეტიკ